

ავსტრიული იოდლის ზოგიერთი აკუსტიკური თავისებურება

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ იოდლის შესახებ საკითხოები მრავალი კვლევა არსებობს, ჯერ კიდევ არც ისე ბევრია შესწავლილი მისი აკუსტიკური თავისებურებების შესახებ; აკუსტიკური მეთოდები იშვიათად გამოიყენება კვლევებში. ფრანც ფოდერმაიერმა და ვერნერ ა. დონიჩმა (1994) გაანალიზეს იოდლის სამი ნიმუში: სოლომონის კუნძულებიდან, შვეიცარიიდან და პოპულარული მუსიკადან (ჯ. როჯერსი). შეფასებულია მკერდისმიერი ხმა და ფალცეტი, ფალცეტის ხარისხი, რეგისტრის ცვლილება, ხმოვნები და მელოდიური ხაზი. იმავე მკვლევრებმა შეისწავლეს იოდლის სიმღერის სპეციფიკური ნიმუში, ბანგომბეს პიგმე ქალების სიმღერა, რომელსაც ახასიათებს ინტენსიური მეორე (ოქტავა) ობერტონი (Deutsch & Födermayr, 2004): „ყოველთვის, როდესაც ძირითადი ტონის სიხშირე მნიშვნელოვნად სუსატია, როგორც მეორე ობერტონი, სპექტრული სიმაღლე შეიძლება აღქმულ იქნას ანალიტიკური ტიპის მსმენელთა მიერ“. მკვლევრებმა შეისწავლეს ამგვარი მოვლენის შედეგად მიღებული მელოდიის აღქმის ეფექტები. ვალტერ გრაფმა (Graf, 1964) გაანალიზა ვოკალური სპექტრული პარციალებისა და ფორმანტების ურთიერთქმედება და სპექტრის გრაფიკული გამოსახვის მეთოდი შემოგვთავაზა. იანიკ ვეიმ (Wey, 2019: 190–195) განიხილა იოდლის ტრანსკრიფიციისთვის სპექტრის გამოყენების შესაძლებლობა.

რამდენიმე კვლევაში ყურადღება გამახვილდა ვოკალურ პარტიაში სხვადასხვა ხმოვნის გამოყენებაზე. საინტერესოა, რომ იოდლის სხვადასხვა კულტურაში დახურული (მაღალი) ხმოვნები დომინირებს მაღალ რეგისტრებში, მაშინ, როდესაც ლია (დაბალი) ხმოვნები (ანდა, თუნდაც, შუა ხმოვნები) დომინირებს დაბალ რეგისტრში (Fürniss, 1991; Deutsch & Födermayr, 2004). ალპებში მაღალი რეგისტრები შეესაბამება ხმოვნებს /ა/ (Wiora, 1958) ან /ა/, ი, უ/ (Graf, 1969), მაშინ, როდესაც დაბალი რეგისტრები შეესაბამება ხმოვნებს /ო/ (Wiora, 1958) ან /ო/, ი, ა, ე, ე/ (Graf, 1969). შვეიცარული იოდლისთვის „ძირითადი წესი საკმაოდ პირდაპირია და ამგვარად ჟღერს: მკერდისმიერი ხმით „ა, ი, ლა, ლო, აია, იო“ და მაღალი ხმით „ოო, უ, ლოო, ლუ“ და ზოგჯერ „დუ“, როგორც დამხმარევოკალიზი, გარკვეული ტიპის ხიდი რთული რიტმული პასაუს მოსაგვარებლად“ (Plantenga, 2004: 18).

მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს აგსტრიული იოდლის რამდენიმე ნიმუშის ზოგიერთი აკუსტიკური თავისებურების — კერძოდ, სპექტრული და ფორმანტიკური თავისებურებების, ინტონაციის სიზუსტისა და ვიბრატოს განხილვას. კვლევისთვის შეირჩა ავსტრიული იოდლის სამი ნიმუში (ხმოვანი ჩანაწერები)¹. აკუსტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იყო პროგრამული უზრუნველყოფა Praat².

რეგისტრები და ხმოვნები

აქ უფრო დეტალურადაა განხილული იოდლი “Aualmer” (მაგ. 1). იოდლს ორი მოძღვალი ასრულებს, ქალი (მაღალი ხმა) და მამაკაცი (უფრო დაბალი ხმა). მკერდის-

¹ Aualmer, Dachstoanjodler, and Schildenwanger. ჩანაწერები მოგვაწოდა ევა ბანკოლცერმა.

² <https://www.fon.hum.uva.nl/praat/>.

მიერ/დაბალ და მაღალ/ფალცეტის ხმებს შორის განსხვავება ასახულია რეგისტრების სპექტრში (სურ. 1): დაბალ რეგისტრს ახასიათებს შედარებით ინტენსიური ობერტონები (მონაკვეთები „ჰო რი ჯა“ და „(ო)ჰო“) მაშინ, როდესაც ძირითადი ტონი ტიპურად არის ყველაზე ინტენსიური პარციალი მაღალი რეგისტრისთვის („ო ი რი რი“). რეგისტრებს შორის განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია მამაკაცის ხმაში: ფალცეტის მონაკვეთში („ო ი რი რი“) ობერტონები, ფაქტობრივად, არ არსებობს (სპექტოგრამის არჩეულ დინამიკურ დიაპაზონში). ქალის ხმაში ობერტონები ამ სეგმენტში სუსტია, მაგრამ მაინც შეინიშნება.³

იოდლის სამივე შესწავლილ ნიმუშში მკაფიოდ შეიმჩნევა სპექტრული განსხვავებები რეგისტრებს შორის და, რაც უფრო საინტერესოა, რეგისტრის თვისებების დიფერენციაცია ძლიერდება შესაბამისი პარციალების დამატებითი გაძლიერებით, ამა თუ იმ ხმოვნის არჩევის მეშვეობით. ამუ, დაბალი რეგისტრისთვის გამოიყენება ხმოვნები, რომელთა ფორმანტული სიხშირეები ემთხვევა ობერტონებს, ხოლო მაღალ რეგისტრში — ის ხმოვნები, რომლებიც ძირითად ტონებს ემთხვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოყენებულია გარკვეული ფორმანტის ტექნიკა. (სურ. 2). დაბალ რეგისტრში („ჰო და ა რე“, „ჯონ“) პირველი ფორმანტა აძლიერებს ობერტონებს (მეორე და მესამე ობერტონიც კი) მაშინ, როცა მაღალ რეგისტრში („ო“) ნათელია ძირითადი ტონების ინტენსიფიკაცია, გაძლიერება.

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ შესაბამისობა „ბგერათასიმაღლე-ხმოვანი-რეგისტრი“. თუ მომღერლებს სჭირდებათ ძირითადი ბგერის გაძლიერება დიაპაზონში ~F4–D5 (~350–600 Hz), ფაქტია, რომ გამოიყენება მხოლოდ ორი ხმოვანი (მათი ვარიანტებით) — /ი/ და /უ/, ვინაიდან ესაა მათი პირველი ფორმანტის სიხშირეების დიაპაზონი (იხ. მაგ., Titze, Maxfield, & Walker, 2017; აქ მცირე განსხვავებების მამაკაცთა და ქალთა სიხშირეებს შორის). /ი/-ს მეორე ფორმანტა არის მაღალი (~1500–2000 Hz) და სუსტი მაშინ, როდესაც /უ/-ს მეორე ფორმანტა საკუთავი ახლოსაა პირველ ფორმანტასთან. თუ, ვთქვათ, გამოვიყენებთ ხმოვანს /ა/ (F1~800–1000 Hz), ობერტონები (მეორე ან მესამე ობერტონი) გაძლიერდება, ამიტომ მაღალი რეგისტრის ხარისხი არ იქნებ იმდენად გამოკვეთილი. მეორე მხრივ, /ა/-სა და /ო/-ს შედარებით მაღალი F1 სიხშირეები და შედარებით დაბალი F2 სიხშირეები, გამოიყენებული დაბალ რეგისტრში, ხელს უწყობს ობერტონების გაძლიერებას.

რეგისტრების დიაპაზონებისა და შესრულებული ბგერების სიმაღლეებიდან გამომდინარე, აკორდები შეიძლება წარმოიქმნას ერთი ან სხვადასხვა რეგისტრის ხმისგან. ხმათა შორის ბალანსი მიიღებული ფორმანტის ტექნიკას მეშვეობით.

რეგისტრები და ინტონირება

იოდლი საკმაოდ რთული ვოკალური ტექნიკა და ეს გარკვეულ გამოწვევებს ქმნის. მაგალითად, რთულია ზუსტი ინტონირება რეგისტრებს შორის ნახტომების დროს, ამიტომ აქ გარკვეულწილად დასაშევებია გადახრა ზუსტი ინტონირებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება მამაკაცთა ხმებს, როდესაც მღერიან არაკომფორტულ მაღალ ხმას. მაგალითად, სიმღერის „Aualmer“ ტაქტებში 2–7 მამაკაცი მომღერლის მიერ შესრულებული ბოლო ბგერები ძალიან მკეთრია (მაგ. 3). შესაბამისად, ბოლო ხმებს შორის წარმოიქმნილი ინტერვალები ძალიან ვინროა: 12-ტონიანი თანაბრადტემპერირებული წყობის ნომინალური კვარტა (ხუთი ნახევარტონი), ნოტის პოზიციაში 13 (მეორე ტაქტის ბოლო

³ ცხადია, რომ ესაა დამკვირვებლის პოზიციიდან გაკეთებული აღწერითი ტრანსკრიფცია. მოყვანილია მიახლოებითი ფორმიკი (წარმოტქმა) და 12-ტონიანი თანაბრადტემპერირებული წყობის შესატყვისი ბგერათა სიმაღლეების ეკვივალენტები.

ნოტი) შეიცავს 4,22 ნახევარტონს, ამგვარად, ფაქტობრივად, იგი უფრო ახლოსაა დიდ ტერციასთან; და ა.შ. ინტერვალების საშუალო გადახრა სურ. 3-ში მათი 12-ტონიანი თანაბრადტემპერირებული წყობის ეკვივალენტიდან შეადგენს 0,59 ნახევარტონს. დაბალი რეგისტრის ხმებით წარმოქმნილი სხვა ინტერვალების საშუალო გადახრა მხოლოდ 0,25 ნახევარტონია და მაღალი რეგისტრის ხმებისთვისაც იგივეა, 0,25 ნახევარტონი; ამგვარად, ინტონაცია ბევრად უფრო ზუსტია⁴ (გაზომილია მხოლოდ შედარებით ხანგრძლივი სტრუქტურული სიმაღლეები, მელიზმატიკა გათვალისწინებული არაა).

სიმღერაში “Dachstoaanjodler” გაანალიზდა 11 ტონიკური სექსტაკორდი (III-VIII). გარკვევა, რომ საშუალოდ, პატარა ტერცია, წმინდა კვარტა და პატარა სექსტა შეესაბამება 3,48, 4,72 და 8,20 ნახევარტონებს. ეს ნიშნავს, რომ შუა ბევრი ძალიან მკვეთრია; დაბალ და ზედა ბევრებს შორის ინტერვალი ასევე ოდნავ ფართოა, ვიდრე 12-ტონიანი თანაბრადტემპერირებული წყობის ეკვივალენტში (სურ. 4).

იოდლისთვის ვიბრატო იშვიათი არ არის. კვლავ, ის ნაკლებად გამოყენებადია რეგ-ისტრების არაკომფორტულ ხმებში, ამიტომ იგი მეტწილად ახასიათებს მაღალ (ქალის) ხმას (სურ. 1, 2, 4).

მოკლე შუალედური ბევრები არა მხოლოდ ალამაზებენ მელოდიებს, არამედ, ასევე, ამზადებენ რთულ მანევრებს. იგივე ითქმის დამატებით ფონეტიკაზე, მაგალითად, ჩას-მული /ჴ/ მოდელებში /ი(ჴ)ო/, /იო(ჴ)ო/ და ა.შ.

შენიშვნა

აუდიოჩანაწერებსა და მათ შემსრულებლებზე მეტი ინფორმაციისთვის იხ. ამავე კრებულში ევა ბანჭოლცერის სტატია (*Aualmer; Dachstoaanjodler; Schildenwanger*).

⁴ შესაძლოა, ინტერვალები შედარდეს მათ ეკვივალენტებთან პითაგორას წყობაში, ნატურალურ წყობაში ან სხვა ბევრათრიგებში.